საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

სატენდერო დოკუმენტაცია

მერხებისა და სკამების შესყიდვაზე

ელექტრონული ტენდერის საშუალებით

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონისა და “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის # 9 ბრძანების საფუძველზე.

თბილისი

2014 წელი

1. ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის – იხილეთ ვებ – გვერდზე: www.procurement.gov.ge:

ა) „სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებელთა სახელმძღვანელო“;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

2. საკვალიფიკაციო მონაცემების თანახმად, პრეტენდეტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები:

2.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

2.2 ინდივიდუალური მეწარმეთათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

3. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით.

4. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

5. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

6. სატენდერო წინადადება, ასევე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

7. ალტერნატიული სატენდერო წინადადების წარმოდგენა არ არის დაშვებული.

8. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: თამარ ნასყიდაშვილი. ტელ: 275 23 83. მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 83ა, მე-3 სართული.

ერთადგილიანი მერხი და სკამი კომპლექტში - 270 ცალი
კომპლექტში შედის 1(ერთი) მერხი და 1 (ერთი) სკამი

- მერხის სიმაღლე 75სმ (დასაშვები ზომის ცდომილება ± 3სმ)
- სკამის დასაჯდომი სიმაღლე 45სმ (დასაშვები ზომის ცდომილება ± 3სმ)
- სკამის სიმაღლე 76 სმ (დასაშვები ზომის ცდომილება ±±3სმ)
- მერხის "ვერზალიტი (Werzalit)" ზედაპირის ზომები: სიგანე: 45სმ. სიგრძე: 63სმ. (დასაშვები ზომის ცდომილება ± 3 სმ); სკამის დასაჯდომის "ვერზალიტი (Werzalit)" ზომა: სიგრძე 39 სმ. სიგანე 35 სმ. (დასაშვები ზომის ცდომილება ± 3სმ) სკამის საზურგის ვერზალიტის ზომა: სიგრძე 40სმ. სიგანე 16სმ. (დასაშვები ზომის ცდომილება ±± 3სმ)
- მერხის და სკამის მეტალის კარკასი პროფილირებული მილით (ოვალური ან მართკუთხა) დამზადებული, არარეგულირებადი (შედუღებული), შეღებილი ეკოლოგიურად სუფთა საღებავით ისე რომ შედუღების კვალი ნაკლებად შესამჩნევი იყოს. მერხის და სკამის კარკასი უნდა შეიცავდეს 4 საყრდენ ფეხს. ასევე უნდა ჰქონდეს ფეხების დამატებითი გამაგრება ლითონის მილით (არანაკლებ 3 მხარეს).
- მერხის და სკამის ზედაპირი და ასევე სკამის საზურგე ეკოლოგიურად სუფთა, ვერზალიტის (Werzalit), რაზედაც წარმოდგენილი უნდა იყოს ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატი (დიზაინი ფერი შეთანხმდეს შემსყიდველთან).
- მერხის ზედაპირის დახრილობის კუთხის გრადუსული ზომა არ უნდა აღემატებოდეს 5 გრადუსს;
- მერხი და სკამი უნდა იყოს ცალ-ცალკე (ერთმანეთზე არ უნდა იყოს დაკავშირებული), მერხს უნდა ჰქონდეს ჩანთის შესანახი ადგილი მერხის ზედაპირის ქვეშ;
- სკამის საჯდომი ზედაპირი და საზურგე უნდა იყოს "ვერზალიტი (Werzalit)"-ის და უნდა ითვალისწინებდეს მასზე მჯდომის ფიზიოლოგიურ ფორმას. უსაფრთხოების მიზნით მერხს და სკამს, ასევე თანმხლებ დეტალებს არ უნდა ჰქონდეს მახვილი კუთხეები და ბოლოები.

შენიშვნა:

1. მოწოდებულ საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო პირობები არანაკლებ 2 (ორი) წლის ვადით.
2. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის შესაბამისობის სერთიფიკატი.
3. სატენდერო დოკუმენტაციაში სიტყვა "ვერზალიტი (Werzalit)" აღნიშნავს მასალას და არანაირად არ უკავშირდება საფირმო სახელწოდებას, პატენტს, მოდელს, წარმოშობის ქვეყანას, მწარმოებელს და ა.შ.

საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი:

1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 65 (სამოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
2. შესყიდვის ობიექტების მიწოდების ადგილია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური საწყობი, ქ. თბილისი, პოლიციის ქ. N 10.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებასთან ერთად სისიტემაში ატვირთული უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

1. რეკვიზიტები (დასახელება, მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი) დანართი N 1 მიხედვით;
2. ფასების ცხრილი დანართი N 2 -ის მიხედვით;
3. ინფორმაცია საქონლის მიწოდების ვადების და ადგილის შესახებ;
4. შემოთავაზებული მოსაწოდებელი საქონლის სრული დეტალური აღწერილობა;
5. ანგარიშსწორების პირობები.

ანგარიშსწორების პირობები:

1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

არ გამოიყენება.

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი: _____ ლარი.

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ხელმოწერა, ბეჭედი _____

ფასების ცხრილი

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	საქონლის აღწერილობა	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1.								

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი N

ქ. თბილისი __ _____ 2014 წ.

ერთის მხრივ, **საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი** (შემდგომში "**შემსყიდველი**") მისი თავმჯდომარის მოადგილის **შალვა ტორაძის** სახით და მეორეს მხრივ, ---------- (შემდგომში **„მიმწოდებელი"**) მისი დირექტორის ---------- სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საჭიროებისათვის ---------- შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ---------- ელექტრონული ტენდერის საშუალებით (SPA----------).

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია ----------. შესყიდვის ობიექტების აღწერილობა, რაოდენობა, ერთეულის და საერთო ღირებულება განისაზღვრება დანართის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას.

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნული დანართი ---------- ფურცლად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტების ფასი განისაზღვრება ეროვნული ლარით.

3.2. შესყიდვის ობიექტების საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.3. ხელშეკრულების 3.2. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა მოსაკრებელი და გადასახადი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არის ხარისხიანი, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და შესაბამისობაშია ტენდერზე წარმოდგენილ ნიმუშ-ეტალონთან.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტების მიწოდების ვადა განისაზღვრება ----------, შემსყიდველის მოთხოვნიდან ----------.

5.2. შესყიდვის ობიექტების მიწოდების ადგილია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური საწყობი, ქ. თბილისი, პოლიციის ქ. N 10.

5.3. შესყიდვის ობიექტების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება საწყობში, ერთი _ მიმწოდებელთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი _ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება

შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
6.2. შემსყიდველის მხრიდან 6.1. პუნქტში აღნიშნული საამისოდ უფლებამოსილი პირია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური საწყობის უფროსი ————.
6.3. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, განზომილება, ერთეულის და საერთო ღირებულება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი
7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ლარში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
7.3. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.
7.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების 7.3. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) მიაწოდოს შემსყიდველს სატენდერო ნიმუშით გათვალისწინებული იდენტური საქონელი;
ბ) ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინა შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ;
გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას
9.1. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი/უხარისხო შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით.

9.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,4 (ნული მთელი, ოთხი მეათედი) პროცენტის ოდენობით.
9.3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის ----------.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომლის დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ (ან მიწოდების პარალელურად) შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება და წარმოადგინოს

ინსპექტირების აქტი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.
14.2. ინსპექტირების აქტში მითითებული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, განზომილება და აღმოჩენილი ნაკლი (იმ შემთხვევაში თუ ნაკლი ვიზუალურად თვალსაჩინოა).
14.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, თვალსაჩინო ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოითხოვოს გონივრულ ვადაში საკუთარი ხარჯებით მისი გამოსწორება.
14.4 თუ მიწოდებული ნივთი ნაკლის მქონეა, მიმწოდებელმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.მიმწოდებელს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის ყველა ხარჯების ანაზღაურება.
14.5. ინსპექტირების აქტის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ჩატარდება მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა.
14.6. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მომარაგებისა განყოფილების ----------.
14.7. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან (ექსპერტიზის დანიშვნასთან) დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, თუ:
ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შესრულების გარანტია
16.1 მიმწოდებელმა წარმოადგინა ---------- ლარის ოდენობის ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.
16.2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით აღემატება შესყიდვის ობიექტის სრულად მოწოდების დასრულების ვადას.
16.3 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
16.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებლის საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.

16.5. გარანტია უკან დაუბრუნდება მიმწოდებლის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

17. სხვა პირობები

17.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს (ზარალს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17.3. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.4. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.6. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება მხარეების მიერ უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით და დადასტურებული მათივე ხელმოწერით.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სასჯელაღსრულების დეპარტამენტი გორგასლის ქ. N83 ა ს/კ 204404723 საქართველოს ეროვნული ბანკი ბ/კ 220101107 ა/ა GE24NB0330100200165022 დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე	
/შალვა ტორაძე/	/ /